სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
12
ივლისი
№83 (10320)
ფასი 5 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა

1990 წლის 6 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ.

დილის პლენარულ სხდომას თავმჯდომარეობდა გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ყრილობაზე გაგრძელდა კამათი განსახილველ საკითხთა გამო. სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: პ. კ. ლუჩინსკი — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ვ. მაქსიმოვი — მწერალი, სმოლენსკის ოლქი, ვ. ა. გაივორონსკი — დონეცკის ოლქის საწარმოო გაერთიანება „აზოვმაშქანის" ელექტროშემდუღებელი, ა. პ. რუბიქსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ტ. კაზელკოვა — აბაკანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, ხაკასეთის ავტონომიური ოლქი, დ. ნ. კუგულტინოვი — მწერალი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ყალმუხეთის ასსრ, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ყირგიზეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ლ. დ. ბაკოვრიაშინა — ალტაის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ბოროვოის" მოიჯარე მეხბორე, კ. მახკამოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ტაჯიკეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მ. ა. ულიანოვი — რუსეთის სფსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მოსკოვის ევგენი ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვ. მ. მოვსისიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ნ. ელცინი — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, თურქმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ბ. ა. კუსტოვი — დასავლეთ ციმბირის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი, კემეროვის ოლქი, ვ. მ. ზიუკინი — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. პოტაპოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ა. ვ. ბუზგალინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მარქსისტული პლატფორმისაგან, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა პ. კ. ლუჩინსკი — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

კამათში მონაწილეობდნენ: ვ. ნ. შოსტაკოვსკი — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში დემოკრატიული პლატფორმისაგან, მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის რექტორი, ა. ა. სერგეევი — რუსეთის კომუნისტთა საინიციატივო ყრილობისაგან, შვერნიკის სახელობის პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის კათედრის გამგე.

შემდეგ სკკპ 28-ე ყრილობის მისამართით შემოსული წერილებისა და მიმართვების ხასიათზე ინფორმაცია გააკეთა ყრილობის სამდივნოს ხელმძღვანელმა ა. ნ. ილინმა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ყრილობის მუშაობის არასაკმარისად ფართო, მთელ რიგ შემთხვევებში კი ტენდენციური გაშუქების შესახებ შემოსული კრიტიკული შენიშვნების თაობაზე განმარტება გააკეთა და კონკრეტული წინადადებები შეიტანა პრესასთან კავშირის ჯგუფის ხელმძღვანელმა ლ. პ. კრავჩენკომ.

შემდეგ კამათი გაგრძელდა. ყრილობაზე გამოვიდნენ: გ. ი. იანაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ჩ. აითმათოვი — მწერალი, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას" მთავარი რედაქტორი, ყირგიზეთის სსრ, ე.-ა. ა. სილარი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. პოლოზკოვი — რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ი. პერშინი — „ბრატსკქალაქმშენის" საპროექტო-სამშენებლო გაერთიანების ენერგომექანიზაციის სამმართველოს ელექტრომონტიორი, ირკუტსკის ოლქი, ვ. ს. ბელოუსოვი — ცემენტის ქარხნის ბრიგადირი, ქ. სემიპალატინსკი, ლ. ბ. როდიონოვა — კალინინის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" კონტროლიორი, კალინინის ოლქი.

★

1990 წლის 7 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ.

დილის სხდომას უძღვებოდა ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, თურქმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ვ. ლ. იურჩენკოვა — გომელის ოლქის ხოინიკის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.

შემდეგ მოისმინეს ყრილობაზე მომუშავე სექციათა წარმომადგენლების ინფორმაციები.

მოხსენებებით გამოვიდნენ:

„პარტიის განახლების" სექციისაგან — ი. ი. მელნიკოვი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი;

„იდეოლოგიური მუშაობის" სექციისაგან — ი. ტ. ფროლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი;

„სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის" სექციისაგან — ს. ი. გურენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი;

„სკკპ აგრარული პოლიტიკის" სექციისაგან — ვ. ა. სტაროდუბცევი, ტულის ოლქის ლენინის სახელობის ჯიშსანაშენე-კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე;

„პარტიის, საბჭოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების" სექციისაგან — ვ. ი. კუპცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მუშაობის განყოფილების გამგე;

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის" სექციისაგან — ა. ნ. გირენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის" სექციისაგან — ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე.

მოხსენებათა დამთავრების შემდეგ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ ყრილობის მონაწილეთა კითხვებს უპასუხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა: ნ. ი. რიჟკოვმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ვ. ა. მედვედევმა და ა. ნ. იაკოვლევმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა.

★

7 ივლისს შესვენების შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ განაგრძო დასმულ კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პასუხის მოსმენა.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ე. ა. შევარდნაძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მთელ რიგ დელეგაციათა წინადადებით, ამით დამთავრდა პასუხების შემდგომი მოსმენა.

შემდეგ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელმა ვ. ა. ივაშკომ მოახსენა ყრილობას, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ სკკპ 28-ე ყრილობის რეზოლუციის პროექტზე, და წაიკითხა იგი.

აზრთა წინასწარი გაზიარების შემდეგ ყრილობამ სარედაქციო კომისიას დაავალა დაამუშაოს ეს დოკუმენტი გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით და წარმოუდგინოს ყრილობის დელეგატებს.

1990 წლის 8 ივლისს მოსკოვში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა. იგი მიმდინარეობდა პლენარული სხდომების ფარგლებს გარეთ.

კრემლის ყრილობათა სასახლეში მ. ს. გორბაჩოვი და ნ. ი. რიჟკოვი შეხვდნენ პარტიის 28-ე ყრილობის მონაწილე მუშებსა და კოლმეურნეებს.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაცხოველებული გაზიარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ადგილისა და როლის, ეროვნებათშორისი ურთიერთობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. მ. ს. გორბაჩოვმა და ნ. ი. რიჟკოვმა დაწვრილებით უპასუხეს ყრილობის მონაწილეთა მრავალ კითხვას.

ყრილობის დავალების შესაბამისად სარედაქციო კომისიამ განაახლა მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ რეზოლუციის პროექტზე.

პოლიტიკური ცხოვრება: სიახლე, რეზონანსი!

# ფუნქციონირებას იწყებს შრომის პარტია

როგორც პრესიდან ცნობილი გახდა, ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა საქართველოს შრომის პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო თავისი წესდება და პროგრამა.

ამ სიახლეს ინტერესით შეხვდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. ამ მხრივ ჩვენი ქალაქისა და რაიონის მშრომელებიც არ არიან გამონაკლისი.

ახლადშექმნილი საქართველოს შრომის პარტიის სამოქმედო პროგრამის, პოლიტიკური გეზის ამოსავალი პრინციპების შესახებ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ პარტიის უმაღლესი საკრებულოს წევრს, მის ერთერთ დამაარსებელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტს ჩვენს თანამემამულეს ბატონ ზაურ ჩქვანავას, რომელიც ამასწინათ ჩვენს რედაქციას ეწვია:

**—რა აუცილებლობით არის გამოწვეული საქართველოში კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა?**

—ჩვენში ათეული წლობით გაბატონებულმა ავტორიტარულმა რეჟიმმა შრომისაგან გააუცხოვა ადამიანი, წაართვა მას თავისუფალი, თვითინიციატივაზე დაფუძნებული შრომის შედეგებისაგან მიღებული სიხარულის განცდა. ფაქტიურად მოხდა შრომის, ეკონომიკის მილიტარიზაცია, რასაც თავის მხრივ მოჰყვა პიროვნების დეგრადაცია, სხვა უამრავი ანომალიები, აუცილებელი გახდა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც იბრძოლებს თავისუფალი შრომის დაცვის და შრომის შედეგების სამართლიანი განაწილებისათვის. სწორედ ამდაგვარ ორგანიზაციად გვესახება შრომის პარტია, რომლის სამოქმედო პროგრამა გამომდინარეობს დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარი უმტკივნეულესი და ურთულესი ამოცანებიდან.

**—კონკრეტულად რა გზით, როგორი მექანიზმებით აპირებს თქვენი პარტია დაიცვას მშრომელთა ინტერესები, მართოს ერის წინაშე მდგარი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები?**

—შრომის პარტია რეგულარულად გამოაქვეყნებს საარსებო საშუალებათა რეალური მინიმუმის შესახებ ინფორმაციას. ამის ცოდნა აუცილებელია მშრომელებისათვის, რამდენადაც ამას ეფუძნება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს შრომის ანაზღაურების პრინციპები, სადაც საშუალო ხელფასი ათჯერ და ოცჯერ მეტია, ვიდრე ჩვენთან. ამ და სხვა საარსებო პრობლემების პრაქტიკულად ხორცშესხმისათვის ბრძოლაში ჩვენ ვიყენებთ მოქმედების შემდეგ მექანიზმებს, კერძოდ, ვუყენებთ პრეტენზიას მმართველ ორგანოებს დააკმაყოფილონ რეალური მინიმუმით მშრომელები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოითხოვს მათ გადადგომას. პარტია ამხელს შრომითი ხელშეკრულების დამრღვევს, აწყობს მიზანდასახულ აქციებს.

მკითხველს უდაოდ აინტერესებს ჩვენი პარტიის პოლიტიკური კრედო. ჩვენ სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად უკომპრომისოდ ვიბრძვით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. პოლიტიკური ბრძოლის ძირითად ფორმად მიგვაჩნია პარლამენტური გზა. ერთი საგულისხმო მომენტის შესახებ: გვინდა იცოდეს მკითხველმა, რომ ზოგი პოლიტიკური პარტიისაგან განსხვავებით, ჩვენი პარტია საბოლოო მიზნის—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც გააგრძელებს თავისი ფუნქციის აღსრულებას: იბრძოლებს თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული თავისუფალი მეწარმეობრივი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის.

# მწვანეთა მოძრაობა დაფუძნდა

ბუნების დაცვის, ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტის მწვავე პოლემიკურ ვითარებაში წარიმართა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

დღეს პრესით თუ ინფორმაციის სხვა წყაროებით ყოველი მოქალაქისათვის ცნობილია ეკოლოგიური საფრთხე, რის გამოც სრულიად სამართლიანად გამოთქვამენ შეშფოთებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი რესპუბლიკაც. სწორედ ამიტომ დროული და საშური საქმეა მწვანეთა მოძრაობასა და მისი რეგიონული ორგანიზაციების შექმნა, რომელთაც მართებთ დროული და გადამჭრელი ზომების მიღება რეგიონში შექმნილი რთული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ ხუნწარია, მწვანეთა მოძრაობის აგროეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი თამაზ თურმანიძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ მაჭაცარია, ზუგდიდის რუსთაველის საზოგადოების რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მაია კალანდია, საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის" გენერალური დირექტორი ოთარ ფაცაცია, გაზეთ „ოდიშის" მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე ქეთევან ტაბაღუა, სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი რუსლან კილასონია, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ილია კუტალია, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსი მურმან დევურია და სხვები.

თავის გამოსვლაში საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარემ რ. ხუნწარიამ მიმოიხილა საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა, აღნიშნა ეკოლოგიური ცვლილებების ზეგავლენის მდგომარეობა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ითქვა, რომ ამ ცვლილებების გამო არაჯანმრთელ ბავშვთა 2-3 პროცენტის დაბადების ფაქტები საგანგაშო ხდება მთელი რიგი ქვეყნებისათვის, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 14 პროცენტს შეადგენს. ყოველივე აქედან გამომდინარე დიდი ზრუნვა გვმართებს ბუნების ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის, უპირველეს ყოვლისა ამაზე უნდა იზრუნონ ტექნოკრატებმა, წარმოებათა ხელმძღვანელებმა მანვე თავის გამოსვლაში აღნიშნა არაორგანული სასუქების გამოყენების მავნეობაზე, იმ გეგმებზე, რომელიც ამ მხრივ გააჩნია მწვანეთა მოძრაობას, კერძოდ ექსპერიმენტის სახით აღმოსავლეთ საქართველოს ოთხ რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უსასუქოდ წარმოებაზე, რომელმაც უნდა გაამართლოს და გავრცელდეს მთელ საქართველოში.

საინტერესო საუბრით წარსდგა აგრეთვე მწვანეთა მოძრაობის აგროეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე თ. თურმანიძე, რომელმაც ხაზი გაუსვა მწვანეთა მოძრაობის მომავლის გეგმებს და მის რიგებში ნამდვილად პრინციპული, უკომპრომისო ადამიანების მუშაობას.

კონფერენციას ესწრებოდნენ აგრეთვე მწვანეთა მოძრაობის ექსპერტები, გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები ბადრი მხეიძე და მირიან ფაორშაძე.

კონფერენციამ აირჩია საკოორდინაციო საბჭო 16 კაცის შემადგენლობით.

კონფერენციამ მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გია ესართია.

სასკოლო ცხოვრება

# გეოგრაფიის სწავლებას — მეტი ყურადღება!

გეოგრაფია მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალდარგოვანი და საინტერესო მეცნიერებაა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის ობიექტი და მიზანმიმართულება.

ამ სასწავლო დისციპლინის სწავლებას ზემდგომი ორგანოების მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ 1932 წლის 25 აგვისტოსა და 1934 წლის 16 მაისის დადგენილებების „სსრ კავშირის დაწყებითსა და საშუალო სკოლებში გეოგრაფიის სწავლების შესახებ" მიღებული დადგენილების შემდეგ. დადგენილებაში დადებით მხარეებთან აღინიშნა გეოგრაფიის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანიც, რომელთაგან უმთავრესია სახელმძღვანელოების გადაცემის განყენებულობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მასალის არასაკმარისობა, სუსტი ორიენტირება რუკაზე, სახელმძღვანელოების მეტისმეტი გადატვირთვა სტატისტიკურ ეკონომიკური მასალებით და ზოგადი სქემებით, რის გამო მოსწავლეები სკოლიდან ისე გამოდიან, რომ მათ ხშირად ელემენტარული გეოგრაფიული ცოდნა არ გააჩნიათ.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ზემდგომმა ორგანოებმა აუცილებლად მიიჩნიეს გეოგრაფიის სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების გადასინჯვა.

გეოგრაფიის სწავლების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გაზეთმა „პრავდამ" როცა წერდა: „ძნელად შევხვდებით ისეთ მეცნიერებას, რომელიც უფრო პრინციპული და წარმტაცი იყოს, ვიდრე გეოგრაფია... გეოგრაფია უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეცნიერებაა ...გეოგრაფიის სწავლება მადლიერი და საპატიო მუშაობაა, რომელშიაც ამომწურავი სისრულით შეიძლება გამომჟღავნდეს მასწავლებლის პედაგოგიური ნიჭი, მისი იდეურობა და მიზანმიმართულება".

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1984 წლის 27 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამინისტროს კოლეგიის მიერ 1988 წლის 27 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში საქართველოს გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობა და მის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. გეოგრაფიამ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლების სრულყოფასთან ერთად მთავარი როლი უნდა შეასრულოს მომავალი თაობის მიერ თავისი სამშობლოს ყოველმხრივ გაცნობა-შესწავლის საქმეში, რესპუბლიკის მიერ სუვერენული უფლების მოპოვებისა და ეროვნული პოლიტიკის განსახორციელებლად. ამ მიზნით თანმიმდევრული მუშაობა მიმდინარეობს გეოგრაფიის სწავლების ხარისხის, მოსწავლეთა ეკოლოგიური კულტურის დონის ამაღლების, მათი ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის სრულყოფისათვის.

სასკოლო გეოგრაფიის წინ დასახული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა. გამოიცა ახალი პროგრამები, მომზადდა რეკომენდაციები საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისათვის.

აღნიშნული დადგენილებიდან გ[...] მიმდინარე 1990-1991 სასწავლო წლიდან ჩვენი რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში შე[...] დებულ იქნება საქართველოს გეოგრაფიის სწავლება, როგორც ცალკე საგნისა (ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფია, ეკოლოგი[...] ინტეგრირებული კურსის სახით), მას დაეთმობა 51 საათი და მე[...] ემა ცალკე შეფასება.

თანამედროვე მოთხოვნათა მი[...] ღით გეოგრაფიის სწავლების გაუ[...] ჯობესების საკითხთან დაკავშირებით მასწავლებელთა დახელოვნების ზუგდიდის ინსტიტუტმა მიზნობრივი გეგმის მიხედვით მიმდინარე წლის 4 ივნისიდან 30 ივნისამდე ზუგდიდში მოაწყო ჩვენი რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებელთა კურსები, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლ[...] ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, მესტიის, ჩხოროწყუს, სენაკის რაიონების, ქალაქების ფოთისა [...] ზუგდიდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 33 მასწავლებელმა.

კურსებზე სხვა ტექნიკურ საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილ[...] და გეოგრაფიული მეცნიერების პრობლემებზე, თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად ამ სასწავლო დისციპლინის სწავლების სრულყოფის, გეოგრაფიის ახალი პროგრამის პრაქტიკულ მიმართულების, სამხარეთმცოდნეო მუშაობის, გეოგრაფიული მოედნებისა და სასწავლო კაბინეტების მოწყობა-გამოყენების, გაკვეთილებზე მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის აქტივიზაციის, სწავლების მეთოდებისა და ხერხების შერჩევისა და სხვა საკითხებზე.

სპეცსემინარზე განხილულ იქნა სწავლებისა და აღზრდის აქტუალური საკითხები. გარკვეული ადგილი დაეთმო მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა განზოგადოებას.

კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მსმენელთა მთავარი ყურადღება იქნა გამახვილებული მიმდინარე სასწავლო წლისათვის გეოგრაფიის სწავლების სრულყოფის მიზნით მზადების საკითხებზე.

კურსების მსმენელებმა დიდი ინტერესი და აქტივობა გამოიჩინეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალების გაცნობა-დაუფლების მიმართ.

**ვ. ნაჟაშბია,**
ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის გეოგრაფიის კაბინეტის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლის მეურნეობა: სადღეისო საზრუნავის პრიზმაში

# ახალი ფორმების ძიებით

—ამინდის ჭირვეულობამ მართალია საგრძნობლად შეგვაფერხა, მაგრამ ჩვენს მეჩაიეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დანაკარგები უმოკლეს დროში აინაზღაურონ,—ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. კვარაცხელია და გვიხასიათებს იმ მოწინავე საწარმოო ქვედანაყოფებს, რომლებიც სხვაზე მეტ საზრიანობას და ერთსულოვნებას იჩენენ. ასეთები არიან: №3, №5, №7, №8 ბრიგადები, რომელთაც უძღვებიან რ. ჯიქია, ქ. დარახველია, ქ. შეროზია და ჯ. დარახველია. ყოველმა მათგანმა მაისივნისის გეგმიური დავალებები გადაჭარბებით გაანაღდა. მთლიანად კოლმეურნეობამ მაისივნისის დავალებას 5 პროცენტით გადააჭარბა. მოკრეფილია 462 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფლად პრობლემებს რა გამოლევს. მით უფრო ახლა, როცა ძველებურ მიდგომებს ყავლი გაუვიდა და მაძიებელი გონება აქამდე ხელუხლებელ ბერკეტებს უკირკიტებს. კოლხიდაშიც საკმაო ინტერესს იჩენენ საწარმოო ურთიერთობის ახალი ფორმების დანერგვისადმი.

ცდა და მონდომება არ დააკლდათ გასული წლის ამოცანების განაღდებისათვის ჩვენი სოფლის მშრომელებს, მაგრამ მიღებული შედეგების დაკვირვებული ანალიზისას ცხადი ხდება, რომ აქ არსებული შიდა რეზერვები ბოლომდე არ არის ათვისებული და სასურველი ეკონომიკური უკუგებისაგან შორს ვართ,—გვეუბნება კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი თინა ქარჩავა.

უფრო გულმოდგინედ ჩავეძიეთ რესურსებს და მივედით იმ დასკვნამდე, რომ იჯარული სისტემაში იდო ის ქმედითი ბერკეტი, რომელიც უდაოდ ხელს შეგვიწყობდა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. მივმართეთ ინდივიდუალურ და კოლექტიურ იჯარას. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მისცა კოლმეურნეობის ეკონომიკას საწარმოო ურთიერთობის ამ ახალმა სტრუქტურებმა, მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს.

არენდული ბრიგადის ჩამოყალიბების სურვილი გამოთქვა მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა ჯ. დარახველიამ. ვენდეთ შრომაში ნაწრთობ კაცს. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება კოლმეურნეობის გამგეობასა და არენდატორს შორის, რითაც პუნქტობრივად განისაზღვრა ურთიერთობის ყველა პირობა. მეარენდეს გადაეცა წარმოების საშუალებანი: მიწა, ჩაის პლანტაცია. მუშაობაც ხალისით წარიმართა. ამითვითვე გამოიკვეთა საქ/სადმი დამოკიდებულების სხვა დონე, ეკონომიკური დაინტერესება. კონკრეტულად რას მიაღწია კოლექტივმა? დაგეგმილი იყვნენ 265 ტონით. ფაქტიურად აწარმოეს 328 ტონა. მათ პირდაპირი დანახარჯებისათვის ეძლეოდათ ერთ კილოგრამ ჩაიზე საშუალოდ 68 კაპიკი. ეს მაჩვენებელი გამოდგა ის მასტიმულირებელი ბერკეტი, რომელმაც დაიტია ყველა სახის დანახარჯი.

საიჯარო ურთიერთობის წარმატებით ფუნქციონირება ორგანულ კავშირშია საფინანსო-ეკონომიკური ბერკეტების ეფექტურად გამოყენებასთან. საქმემ მოითხოვა გაგვეკეთებინა ახალი გაანგარიშებანი, გადაგვესინჯა ნორმატივები, აღრიცხვა-კონტროლის სისტემა. ყველა ამ საკითხებს ახლა უშუალოდ არენდატორები მართავენ. როცა რეალური მიდგომები, თვითმმართველობის პრინციპი ამოქმედდა, სამეურნეო მექანიზმის უკუგებაც თვალნათელი გახდა. თანდათან იკლო სხვაობამ საბოლოო შედეგსა და გამომუშევარ თანხას შორის. ობიექტურმა საანგარიშო ფასებმა, ამასთან საარენდო გადასახადმა მშრომელ კაცს გაუჩინა ეკონომიკური სტიმული. გამოირიცხა გეგმიური დანახარჯების გადიდების შესაძლებლობა. ამან თავისთავად რეალურად გამოკვეთა სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავალი.

იჯარის პრინციპი ჩაიდო მეციტრუსეობაშიც. ამჟამად ყველა მეციტრუსე ამ მეთოდით მუშაობს. განსაზღვრულია საბოლოო პროდუქციისათვის ანაზღაურება. თუ ადრე გამომუშავების ნორმებით ანაზღაურება არ აკმაყოფილებდა მშრომელს, ამჟამად ის საბოლოო პროდუქციისათვის ირჯება. ამ სტრუქტურაში ბუნებრივად იზრდება პასუხისმგებლობა არენდატორმა შეინარჩუნოს ნაყოფი და ამასთან ძირთა მაქსიმალური რაოდენობაც, რამეთუ ახალგაზრდა ციტრუსის უკუგება სანიმუშოდ მოვლილ პლანტაციაშია. ამ მხრივ გამოირჩევიან: კაკო, გივი, ხერიოფა, იროდი ჯაბუება, ალიკო ლიპარია, იგორ ჯიქია, თამაზ დარახველია, ტარიელ როგავა და სხვები.

ამ ცოტა ხნის წინათ დამფუძნებელმა ყრილობამ საბჭოთა კავშირის გლეხთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩია საკოლმეურნეო შრომის ცნობილი ორგანიზატორი ვასილი სტაროდუბცევი. ეს ის პიროვნებაა, რომელიც სასოფლო წარმოების მართვის კოლექტიურ ფორმებს ოპტიმიზმით უყურებს, ამასთან შერეული ეკონომიკის მომხრეც გახლავთ. არჩევის შემდეგ, თავის გამოსვლაში მან, სხვათაშორის ასე მიმართა შეკრებილთ: ფერმერებსა და გლეხურ მეურნეობებს ყოველმხრივი ფინანსური და მატერიალური დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ. ამ განცხადების კომენტირება ვთხოვეთ კოლმეურნეობის თავკაცს.

—მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ნიჰილისტურად არიან განწყობილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ, მიიჩნევენ მას შრომის ორგანიზაციის დრომოჭმულ ფორმად. ასე არ უნდა მივუდგეთ პრობლემას. სულ სხვა საქმეა, როცა მართვის ტრადიციულ სტრუქტურას დოგმად აქცევენ. ამისგან არაფერი სასიკეთო არ გამოდნება. მთავარია, სრულვყოთ, განვავითაროთ მასში არსებული შინაგანი მექანიზმები, უფრო დემოკრატიული, თვითმმართველობითი გავხადოთ ისინი. ამასთან, მთლიანად ვუჭერ მხარს სასოფლო წარმოებაში ალტერნატიული ფორმების: გლეხური მეურნეობის, იჯარული კოლექტივების, კოოპერატივების დანერგვას. ამ მხრივ, როგორც თავად ხედავთ, გარკვეული ძვრები გვაქვს. მაგრამ იგი მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

ჯ. თელია,

# ერთი დღე ოდიშელებთან

მარადმწვანე გორაკებზე უთენია იწყება მეჩაიეთა ფუსფუსი. მთელი დღე ისმის საკრეფი მანქანების და აპარატების ხმა. ოდიშელებს ნედლეული შეუფერხებლად მიაქვთ ფაბრიკაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მეგონა ლურწკაია უბის წიგნაკში იწერს ყველა ბრიგადის, რგოლის, ცალკეული ინდივიდის მაჩვენებლებს.

144,4 ჰექტარზეა გაშენებული ჩაი. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აგროვადებში დაამთავრეს პლანტაციების მოვლითი სამუშაოები. საკმაო დოზით იქნა შეტანილი სასუქები.

სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე ყურადღება ექცევა ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას.

დიდია ამოცანა. მრეწველობას უნდა ჩააბარონ 1480 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დღემდე დამზადდა 575 ტონა ნედლეული, რაც წლიური გეგმის 38,8 პროცენტია. უამინდობის გამო კრეფის სეზონის დაგვიანებით დაწყების შედეგად გამოწვეული გარღვევა დღითიდღე მცირდება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 50 ტონით ნაკლები ჩაის მწვანე ფოთოლი.

ბევრმა ბრიგადამ, რგოლმა, ინდივიდმა ისახელა თავი შრომაში. მაის-ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს პირველი, მეორე, მეხუთე და მეექვსე ბრიგადების წევრებმა, რომელთაც აზნორ სართანია, ნუგზარ ქობალია, ზაურ კვიტატიანი და ჯანიკო ჭეთანავა ხელმძღვანელობენ. მეცხრე მექანიზაციის ბრიგადაში საკრეფი აპარატებით ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ როზა და ნანული სართანიები, ლიანა დარსანია, ლეილა ბულია და პეულ ქაზუმ.

ყოველდღე პლანტაციაშია ათი შვილის დედა მალვა სვირავა. მას მხარში უდგანან მეუღლე, ვაჟი და შვილი ელისო. მათ დღემდე 11 ტონა ნედლეული დაამზადეს.

მექანიზებულ ბრიგადას ლუსიანე სართანია უძღვება. იგი 8 წევრს აერთიანებს. მექანიზატორების ველოდი შარაშიისა და თენგიზ ქობალიას ბრიგადის ანგარიშზეა 46 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ცოტა რამ სხვა კულტურებზეც. სიმინდი სამარცვლედ დაითესა 55 ჰექტარზე. კარგად გაისარჯნენ მხვნელ-მთესველები. დასასრულს უახლოვდება მეორედ გათოხნა. აგრონომი ტატაჩი სართანია თითოეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდის მიღებას ვარაუდობს.

მოწინავეთა რიგებშია მესიმინდეობის მეორე ბრიგადა, რომელსაც ნუგზარ ქობალია უდგას სათავეში. ამ ბრიგადის წევრები დამიანე და რამინო კვიტატიანები, კაპიტონ და ლუთია ბულიები და ვალიკო სართანია ყოველწლიურად ზრდიან მარცვლეულის წარმოებას. თითოეული ნახევარ ჰექტარზე 45 ცენტნერი სიმინდის მიღებას ითვალისწინებს.

კოლმეურნეობის წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ საკვებმომპოვებელთა ბრიგადის წევრებს, რომელსაც გულად თამლიანი ხელმძღვანელობს.

ბრიგადის წევრები მურმან ლუკავა, მამუკა ქოჩუა, ზვიად და ფიდელ თამლიანები პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. ისინი 15 ჰექტარზე თიბავენ საკვებ ბალახებს—სამყურას, წივანასა და კონიდარს.

მეჩაიეებსა და მესიმინდეებს არც მეცხოველეები ჩამორჩნენ. მესაქონლეობის ფერმას შოთა ბულია ხელმძღვანელობს. ფერმაში ველის წითელი და შავჭრელი ჯიშის 200 პირუტყვს ითვლიან, მათ შორის 63 ძროხას.

მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 6 თვეში გეგმიური 731 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 770 ცენტნერი რძე. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოიწველა 122 ცენტნერით მეტი რძე. ექვს თვეში თითოეული ფურიდან მოიწველა 1400 კილოგრამი რძე, ანუ გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 222 კილოგრამით მეტი. ჩაბარებული რძის 97 პროცენტი კი პირველი ხარისხისაა.

ექვს თვეში 71 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 91 ცენტნერი ხორცი. საქონლის სადღეღამისო წონამატი 273 გრამის მაგიერ 314 გრამამდე გაიზარდა. ჩასაბარებელი საქონლის წონა 294 კილოგრამის მაგიერ 316 კილოგრამამდე გაიზარდა.

კოლექტივის წარმატებაში თავიანთი წვლილი მიუძღვით მწველავებს დალი კვიტატიანს, მედიკო ბულიას, ნანი არქანიას, მომვლელებს ნაირა სართანიას, გერონტ ლაშხიას, ინდიკო ბერაიას, საკვებშემამზადებელი საამქროს ოსტატს მარლონ ბულიას, მექანიკოს გურამ ქოჩუას, მექანიზატორ ნოდარ ბარამიას, მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს კეთილსინდისიერად ემსახურება მძღოლი რეზო ბულია.

სოფელს აქვს თავისი საფიქრალ-საზრუნავი. კეთილმოუწყობელია შიდა სასოფლო გზები. შეუფერებელ ბინაშია სავაჭრო ობიექტები. სოფელსა და ქალაქს შორის არაა სატელეფონო კავშირი. წლების მანძილზე დუმს რადიო. სხვადასხვა მიზეზით გვიან მოაქვთ ჟურნალ-გაზეთები, წერილები თუ დეპეშები, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ოდიშელებს უნდათ იარონ გარდაქმნის გზით, დაძლიონ ჩამორჩენა, აწარმოონ სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები მცირე დანახარჯებით, უფრო კეთილმოწყობილი გახადონ სოფელი.

ვ. აბსანძე.

ინფორმაცია

## ამინდის ჭირვეულობას არ ეპუებიან

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის ნაცადი კოლექტივი ჩაის წარმოებისა და გადამუშავების სრულყოფის გზების ძიებაშია. ამ მხრივ ტრადიციულად ჩვეულ გულმოდგინებას და მობილურობას იჩენენ წამყვანი ძირეული ქვედანაყოფები, ჩვენს კითხვაზე, თუ კონკრეტულად ვინ დაწინაურდა სხვებთან შედარებით, კომბინატის საგეგმო-ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენლებმა გვითხრეს:

მიმდინარე წლის მაისივნისის გეგმიური დავალების ხორცშესხმის საქმეში იკვეთება №1, №6, №7 კომპლექსური ბრიგადების წვლილი, რომელთაც ვ. მეუნარგია, მ. ბერულავა და გ. ქვანია უძღვებიან. აღნიშნულმა ქვედანაყოფებმა 27 ივნისისათვის გაანაღდეს ჩაის წარმოების ორი თვის გეგმა.

ამ დღეებში ინგირელთა ჯარჯა-მეცადინეობას განსაკუთრებული მონდომება ახლავს.

# რათა დროულად მოგვარდეს...

მოსახლეობის თხევადი გაზით მომარაგების შეფერხებამ მშრომელთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

„ზუგდიდგაზის" დირექციის მიმართვაში მოსახლეობისადმი, ნაწილობრივ ახსნილი იყო შეფერხების მიზეზები, გადმოცემული იყო თხოვნა მოსახლეობიდან თითო ბალონის ჩაბარებისა, რომლის შედეგად მდგომარეობა გამოსწორდება.

მიუხედავად ამ მიმართვისა, მშრომლები მაინც გამოთქვამენ უკმაყოფილებას, მოითხოვენ საკითხის დეტალურად გარკვევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე გვესაუბრება ტრესტ „ზუგდიდგაზის" მმართველი ლ. ჭანია;

გაზით მომარაგებაში შეფერხება გამოიწვია ბალონების სიმცირემ. ვერ შევავსეთ საჭირო რაოდენობით ამორტიზირებული ბალონები, რადგან ქარხნები ვერ გვაწვდის მას საჭირო რაოდენობით. მთელ სსრ კავშირში შესაბამისი ქარხნები ამჟერად 50 პროცენტის დატვირთვით მუშაობენ.

ჩვენ ვთხოვეთ მოსახლეობას, გაგვიწიონ თანაგრძნობა და ნებაყოფლობით ჩაგვაბარონ თითო ბალონი.

ზოგ ქვეყანაში, მაგალითად თურქეთში გაზის ბალონების ფორმას ცვლიან ყოველ 15 წელიწადში, მოსახლეობა იძენს ხელახლა მათ, რადგან მათი ამორტიზაციის ვადა სწორედ 15 წლამდეა.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ზუგდიდის მანქანათმშენებელ ქარხანასთან გაზის ბალონების დამზადებაზე, თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, მომგებიანი იქნება ქარხნისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

ჩვენ თავის დროზე მოსახლეობა ვერ მივაჩვიეთ ბალონის უსაფრთხოდ შენახვას, ვერ იცავენ მას ტემპერატურული ზემოქმედებისაგან, არ შეიძლება მზის გულზე მისი დადება, ამ დროს მეტალები დეფორმაციას განიცდის, საშიშია რომ გასკდეს. ასეთ დროს მისი ამორტიზაციის კოეფიციენტი იზრდება.

თუ მოსახლეობამ სწორად გაიგო შექმნილი ვითარება და თითო ბალონი ნებაყოფლობით ჩაგვაბარა, ამით თანადგომას გაუწევს მთელ რაიონს და ტრესტის ადმინისტრაცია გამართულად იმუშავებს და სავსებით უზრუნველყოფს მოსახლეობის მომსახურებას გაზით.

გაზის ტრესტის ადმინისტრაციის თხოვნა იქნება, ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეებმა ქმედითი ღონისძიებები გაატარონ, რათა დროულად მოგვარდეს აღნიშნული საქმე.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ახალაბასთუმნის მცხოვრებთა ნაწილისა და ჩვენი პირადი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ახალაბასთუმნის ტერიტორიაზე შენდება ასფალტის ქარხანა-დანადგარი, რომელზეც არ არსებობს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამასთანავე, სოფელში მოქმედებს 13 სხვადასხვა საწა[illegible] რომელიც აჭუჭყიანებს გარემოს. ამავე სოფლის ტერიტო[illegible]ზეა ნაგავსაყრელი, რომელიც დაიხურა, მაგრამ ნაგავი [illegible] წესით არ არის დამუშავებული, რითაც იგი ანტისანიტა[illegible]კერაა.

ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად (ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება, რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია, ჰელსინკის კავშირის საინიციატივო ჯგუფი), მოვითხოვეთ მშენებლობის შეჩერება ეკოლოგიურ დასკვნამდე.

ამით ისარგებლეს დაინტერესებულმა პირებმა. ხალხში ჭორებისა და დეზინფორმაციის საშუალებით გამოიწვიეს მათი დაპირისპირება აღნიშნულ ეროვნულ ორგანიზაციებთან, რის შემდეგაც აღშფოთებული მასა უზნეო აქციის მონაწილე გახდა— სასტიკ უარს ამბობდნენ დიალოგზე, გამოხატავდნენ უმისამართო აღშფოთებას, ძალით იჭრებოდნენ აღმასკომის თავმჯდომარის ოთახში.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია ამ აქციას აფასებს, როგორც ანტიეროვნულს და გმობს მის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს.

**საქართველო მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭო.**

## წინაპართა ძვალთშესალაგს მოფრთხილება სჭირდება

რეგიონში საკმაოდ პრესტიჟულ ჩვენს ქალაქს მოყვასთაგან ბევრი რამ აქვს პირში საძრახი, მაგრამ ამჟამად ერთ სატკივარს შევეხებით.

ცნობილია, რომ ქალაქში ბევრი სასაფლაო უკვე დაიხურა ან დახურვის პროცესშია. ეს გაითვალისწინა დროზე ხელმძღვანელობამ და ქაფათის (ოდიშის) ტერიტორიაზე გამოყო მთლიანობით მექტარი ახალი სასაფლაოსათვის. ნაწილობრივ რკინის ბოძებიც ჩააბეტონეს და შემოკავებაც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გეგმა გეგმადვე დარჩა.

მას შემდეგ ბევრმა `წყალმა ჩაიარა, რამდენიმეჯერ შეიცვალა ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობაც, მაგრამ დაწყებული საქმის გაგრძელებას არ ეშველა, რაც იყო ისიც გაძარცვეს.

ამ საკითხთან არსებობს მეორე პრობლემაც —მისასვლელი გზის კეთილმოწყობა. ზამთარში და ზაფხულის წვიმიან დღეებში სასაფლაომდე ასვლა ჭირს. ერთ პერიოდში გზის კეთილმოსაწყობად როგორც ითქვა, თითქოს 90 ათასი მანეთი გამოიყო, მაგრამ ამ თანხის ახლა კვალიც არ ჩანს.

ჩვენ მადლობელი ვართ ენგურმშენის ხელმძღვანელებისა, ვინც გზის ნაწილის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსი, რომელმაც თანხა გამოგვიყო. დარჩა ნახევარი კილომეტრი გასაკეთებელი.

იქნებ ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს ამ საქმეს და დაგვეხმარონ სასაფლაოს შემოკავებასა და გზის ბოლომდე მოწესრიგებაში.

ჩვენს მხრივ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სასაფლაოს მიმდებარე ზონის ქუჩების კომიტეტები, მოსახლეობა.

წინაპართა ძვალთშესალაგს თვალისჩინივით სჭირდება მოფრთხილება.

**ნ. შონია,**
ჩიტაძის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

**გ. შურღაია,**
**მ. კუხალაშვილი,**
ომისა და შრომის ვეტერანები.

## [illegible]

18 ივლისს 5 საათზე ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდება შემოქმედებითი შეხვედრა მწერალ ჯემალ ქირიასთან. გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა.

**ქ. ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა.**

ზუგდიდის საცხენოსნო სპორტულ კომპლექსთან,—სსრ კავშირის სპორტის ოსტატის, საქართველოსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონისა და სტიპლჩეიზში საქართველოს სახელმწიფოს დიდი პრიზის მფლობელის **ოთარ ჯაფარიძის** ინიციატივით, მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ყალიბდება ოლიმპიური რეზერვების მოსამზადებელი სასწავლო ჯგუფები ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში.

ჯგუფებში მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე 11-15 წლის მოსწავლეები. სწავლება ფასიანია.

ამასთან გრძელდება მოსწავლეთა მიღება უფასო სწავლების სამოსწავლო ჯგუფებში ადრე გამოცხადებული პირობებით.

მსურველთა მიღებას იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა.
**მისამართი:** სოფ. რუხი, იპოდრომი.

**საცხენოსნო სპორტკომპლექსის დირექცია.**

**რედაქტორი აკ. ჭანტურია.**

მეუღლე თინათინი, შვილები: დემური, ნატო, დოდო, ხანი, მახახა, რძლები: ციცო ბარამია, თამარა ხაჟომია, ქუჟუნა ფოჩხუა, მარგალიტა გაბუნია, დები: ლამარა ბულია, ლენა ხაჟომია, ძმა ზაალ ფოჩხუა, ცოლისდა მადლენა კარანაძე, სიძეები: იდენ რაფავა, ლუსა ჭითანავა, ვოვკა კაცია, ზურაბ აკობია, რაჟიკო ბულია. შვილიშვილები: კახა, დავითი, ავთო, დათო, ედიკა, პაპუნა, გიორგი, ბუთხუზი, ანჟელა, სოფიკო, ნათია, ლიზიკო, ნატალია, დისშვილები: გელა, გია, ნანი, გურამი ბულიები, ძმისშვილები: მანანა, ემზარ ფოჩხუები, მზახლები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**ავთანდილ ბიქტორის ძე ხაჟომიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 ივლისს. დაკრძალვა 15 ივლისს. გამოსვენება ზუგდიდი, მეორე ჩაის ფაბრიკა, სახლი 3-დან.

შვილი ბიჭიკო სიჭინავა, რძლები, ვალია ფშენიჩნაია, ვეროჩ[illegible] ნარსია, შვილიშვილები ირინა, ვალერი, გოჩა იუწყებიან
**ბუჟუ ლუკას ასულ ცქირია-სიჭინავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 ივლისს. დაკრძალვა 14 ივლისს სოფ. ნოჯიხევში (ხობის რაიონი)

კახათის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის კოლექტივი იუწყება
**გენადი გაჯის ძე შამახიას**
გარდაცვალებას.

მეუღლე მეგონა, შვილები მერაბი, ზურაბი როგავები, ძმები: შოთა, ხოდარი, მარლონი შენგელიები, მურმანი ზარანდია, რძლები: ქუჩუხი, ყუნა, თეთრიკო, გოგო. ხელი, მაზლი ხუშუტი როგავა, მული დაფინა, სიძე კლიმენტი ფაჯავა, ბიცოლები: ეენია, ლუბა, ძმისშვილები: მზია. აზა. ლუიზა. ნინო, მადონა, მარინა. მაია, ბექანი, ბადრი, ელგუჯა შენგელიები. მზია, მზევი. იური ზარანდიები, მულიშვილები: კვაზი, ნუგზარი, თაველა ბერაძეები, ბორისი, ია ფაჯავები, მაზლიშვილები: როლანდი, ლამზირა როგავები, ბიძაშვილები ციალა, ედიშერი. მიმოზა. ჯანგული, ქოიეი, ნათელა. ლუნა. ლუცია მესხიები იუწყებიან
**ლამარა ძალუს ასულ შენგელია-როგავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივლისს. დაკრძალვა 17 ივლისს სოფელ ვრიგოლიშში.

შვილები: ვალო, დუნია, დები: თამამა. ცხვირო, ძმა ვანიჩქა სარია, რძლები: ჩხაჩხუტი, ვალია, დოდო. მზევინარი. ალდონა, მიმოზა, დიანა, ნათელა. ნატაშა. ლიდა, სიძე ამრობი კოკაია. შვილიშვილები: ნაილი, ციური, იგორი. ბადრი ჯოლოხავები, ნუგზარი, შოთა, მიტია. ედიშერი, გონელი კოკაიები, მიმოზა, მაია, ამალი. მერაბი. ემზარი როგავები, დიშვილები: იაშა სირაძე, გული ჯღამაძე, ძმისშვილები თამაზი, რევაზი ხასიები, მამიდაშვილები, არსენა კანკია, ქსენია ჭურღულია, მზაზალი ქიონია მიქაია, ბიძაშვილები იუწყებიან
**ჰიტია ვატას ასულ ხასია-ჯოლოხავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 ივლისს. დაკრძალვა 14 ივლისს სოფ. ერგეტაში.

დედა ქენია, მეუღლე მიმოზა. შვილები: მარინა. ირაკლი. დები: ზოია, აზა კილასონიები, სიძე კუკური რამიშვილი, დისშვილები: ზაზა, გულნაზი, სიდედრი ვენერა, სიმამრი გული მოლაშხიები, დეიდა ნორა კუჭავა, ბიძა ხარიტონი კუჭავა, მამიდები: იირა. აგრა, ნუცა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან
**ბიძინა რაჟდენის ძე კილასონიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 ივლისს. დაკრძალვა 15 ივლისს, გამოსვენება 6 საათზე, ზუგდიდი, თავისუფლების ქ. №90.

მეუღლე ვარო, შვილები: გურამი, მუშური დარსანიები, დაპაშა, რძლები ნათელა გოგოხია, ლალი სახაია. ლალული როგავა. ძმისშვილი სულიკო დარსანია, შვილიშვილები: ლევანი, ნინო, კობა. კახა, დისშვილები: ზინო, ცორი, ბიცი, ნოე, ანზორი ქობალიები, ვახტანგი, კამო, კარლო. ლონია სანაძეები, ბიძაშვილები გრიშა. ნუცა, შურა დარსანიები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**დიმიტრი კონსტანტინეს ძე დარსანიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 ივლისს, დაკრძალვა 14 ივლისს სოფ. კორცხელში (ნაცატუ).

და ხეტა, ძმა ვანო ქომეთიანი, ძმისშვილები: გული, ინეზა, თოთიკო, მზიური, იგორი, ანზორი, ბაჩა ქომეთიანები, დისშვილები: სულიკო, ლუარა, ეთერი, ზაური. ზამირა მესხიები, რძლები: თამარა. ჭუჭუ, ეთერი, სვეტა, სიძეები: რამინ ალაია, მურმან ქობალია, იგორ ფანცულაია, გივი ნადარეიშვილი, ლერი ჭანტურია, მამიდაშვილები: შოთა, ქსენია, თალიკო, ვენია აბულაძეები. ბიძაშვილები, ციალა და ქვაცანა მიქაბაძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ცარუ აქსენტის ასულ ქომეთიანი-პარკაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ივლისს. დაკრძალვა 15 ივლისს 6 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, მაიაკოვსკის ქ. 47.

მეუღლე ნაზი, შვილები: მზიური, ეკა, მაკა. სიძე ბადრი გუგუჩია, შვილიშვილები: დიმა, ლადო. ძმები: აჩიკო, გიგი შამახიები, ზაურ ჯიქია, რძლები ლიანა, რაისა, ციალა, ნაზო. ციალა, თინა, მამიდა თამარა, ლეიდები პაპუნია, გული, ბიცოლები: თამარა. ნაზო. ვალია, ბიძები: ბოჩია ყალიჩავა, ვალოდია ჭეჭაია, სიდედრი ფერიდე, სიმამრი მურადი, ცოლისდები: ნათელა, ჟუჟუნა. დოდო, ცოლისძმები: იოია, ვალიკო ფუტკარაძეები, ძმისშვილები: ლუდმილა, მამუკა, თამაზი, პაატა, ემზარი, კახა შამახიები, ნანა, ქრისტინე, ელისო, არჩილო, დი, გოგი. ბადრი, თემური. ზური, გია ჯიქიები, დალი, მანანა, ოთარი, თემური შონიები ოჯახებით იუწყებიან
**გენადი (გადუ) გაჯის ძე შამახიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ივლისს კახათში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24 80, რედაქტორის მოადგილის —2-35-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2 47-09

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდისსტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3380.